

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის პროფესიული
მომზადების პროგრამებზე ჩარიცხვის წესი



1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) პროფესიული მომზადების პროგრამებზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება ამ წესის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების შესაბამისად.
2. ჩარიცხვის წესი ეფუძნება სამართლიანობის და გამჭვირვალობის პრინციპს;
3. კონკურსის ჩატარების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს მსმენელთა შერჩევის პროცესი და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე პირის ჩარიცხვის შესახებ;
4. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ:
 - ა) კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
 - ბ) პროფესიული განათლების მასწავლებელი;
 - გ) დარგის სპეციალისტი.
5. საკონკურსო კომისიის თავჯდომარეს ირჩევენ კომისიის წევრები;
6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ კონკურსს ესწრება საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შემავალი არანაკლებ სამი წევრი მაინც;
7. საკონკურსო კომისიის წევრები უშუალოდ ესწრებიან კონკურსს და აფასებენ აპლიკანტს
8. კონკურსის ტიპები პროგრამების მიხედვით:
 - ა) ვიდეო მემონტაჟ-გრაფიკოსი
 - ა.ა) თემატური გასაუბრება;
 - ა.ბ) სამომხმარებლო დონეზე კომპიუტერის გამოყენების პრაქტიკული უნარის დადასტურება პრაქტიკული დავალების მეშვეობით;
 - ბ) დოკუმენტური ფილმების ავტორ-ოპერატორი
 - ბ.ა) თემატური გასაუბრება;
 - ბ.ბ) სამომხმარებლო დონეზე კომპიუტერის გამოყენების პრაქტიკული უნარის დადასტურება პრაქტიკული დავალების მეშვეობით;
 - გ) ვიდეომემონტაჟი
 - გ.ა) შემოქმედებითი ტური,
 - გ.ბ) კომპიუტერის სამომხმარებლო დონეზე გამოყენების უნარის დადასტურება
 - დ) ტელევიზიის წამყვანი
 - დ.ა) თემატური გასაუბრება ვიდეოკამერასთან ტელეგენურობის და სამეტყველო აპარატის მდგომარეობის დასადგენად;
 - დ.ბ) სამომხმარებლო დონეზე კომპიუტერის გამოყენების პრაქტიკული უნარის დადასტურება პრაქტიკული დავალების მეშვეობით;
 - ე) ფოტოგრაფიის პრაქტიკული კურსი
 - ე.ა) შემოქმედებითი ტური,
 - ე.ბ) კომპიუტერის ფლობა სამომხმარებლო დონეზე;
 - ვ) ფოტორედაქტირება
 - ვ.ა) გასაუბრება გამოსახულებასთან დაკავშირებულ თემატიკაზე;

ვ.ბ) სამომხმარებლო დონეზე კომპიუტერის გამოყენების პრაქტიკული უნარის დადასტურება პრაქტიკული დავალების მეშვეობით.

9. აპლიკანტთა ჩარიცხვა მოხდება გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტის მიერ მიღებული ქულის/ქულების გათვალისწინების საფუძველზე;
10. თუ ორ ან ორზე მეტ აპლიკანტს აქვს ერთნაირი ქულები უპირატესობა მიენიჭება იმ აპლიკანტს, რომელიც შემოქმედებით კომპონენტში მიიღებს უფრო მაღალ შეფასებას.
11. შემოქმედებით ტურზე გადასვლის წინაპირობაა კომპიუტერული უნარის დადასტურება.
12. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გამოქვეყნებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით - გასაჩივრებულია პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში. სააპელაციო კომისია ვალდებულია 1 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება